ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/16-037

ქ. ბათუმი 29 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება"** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,სკანერი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ჯიმშელეიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე–3 მუხლის, 1–ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შემსყიდველის კუთვნილი საავტომობილო სასწორის დაკალიბრების მომსახურების** (შემდგომში–მომსახურება) გაწევა.
კლასიფიკატორი – **CPV50433000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **500** (ხუთასი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სააანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების" მთავარი სპეციალისტი შემოსავლების საკითხებში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის და მისი თანმდევი მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.
6.2. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს ,,სანდასუფთავების" მთავარი სპეციალისტი შემოსავლების საკითხებში.
7.2. ინსპექტირების მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,სკანერი“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ქუთაისი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	სულხან–საბას ქუჩა 97/28
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 212824470
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE21TB0300000040467090

შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს ,,სკანერი“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით ასამბაძე	**არჩილ ჯიმშელეიშვილი**